

სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო (სენატი)

დადგენილება №01-06-02/40

ქ. თბილისი

7 ოქტომბერი 2026

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის შინაგანაწესში ცვლილებების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133 ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების მე-11 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სტუ-ს აკადემიური საბჭოს 2026 წლის 25 სექტემბრის №01-05-04/134 დადგენილებისა და წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) 2026 წლის 7 ოქტომბრის №01-06-02/08 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითმა საბჭომ (სენატი) დაადგინა:**

1. სტუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2014 წლის 18 სექტემბრის №59 სხდომის №1 დადგენილებით დამტკიცებულ „უნივერსიტეტის შინაგანაწესში“ შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

მე-4 მუხლის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. უნივერსიტეტის ფარგლებში სამუშაოს შეთავსება დაუშვებელია, გარდა შემდეგი შემთხვევებისა:

ა) ადმინისტრაციული ან დამხმარე თანამდებობის მქონე პირს უფლება აქვს, იმავდროულად დაიკავოს სამეცნიერო თანამდებობა, აკადემიური თანამდებობა, აგრეთვე

მოწვეული სპეციალისტის, უფროსი მასწავლებლის, მასწავლებლის ან პროფესიული მასწავლებლის თანამდებობა და პირიქით;
გ) პროფესორს ან ასოცირებულ პროფესორს უფლება აქვს, იმავდროულად დაიკავოს აკადემიური დეპარტამენტის უფროსის თანამდებობა;
გ) სამეცნიერო თანამდებობის მქონე პირს უფლება აქვს, იმავდროულად დაიკავოს აკადემიური თანამდებობა, აგრეთვე მოწვეული სპეციალისტის, უფროსი მასწავლებლის, მასწავლებლის და პროფესიული მასწავლებლის თანამდებობა და პირიქით;
დ) სამუშაოს შეთავსება დასაშვებია აგრეთვე იმ შემთხვევაში, როდესაც პერსონალის შესაბამისი საქმიანობის შრომის ანაზღაურება ხორციელდება დაფინანსების სხვადასხვა წყაროდან მიღებული შემოსავლებით;
2. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №64.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი)
სპიკერი, პროფესორი **ზაზა სოფრომაძე**